სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

25 აგვისტო 2026

N 21/12555

სს „საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაცია“-ს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი №11498 წერილით წარმოდგენილი საქმიანობის – გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალას ტერიტორიაზე 2,5 კმ სიგრძისა და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაზე სკრინინგის განცხადება და გაცნობებთ შემდეგს:

ა) სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე შეადგენს 2,5 კმ-ს, თუმცა, თანდართული shp-ფაილის მიხედვით, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე 2 355 მეტრია. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება და თანდართული shp-ფაილი ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს.

ბ) სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზი გაივლის სს „ნავთობის და გაზის კორპორაცია“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს (ს/კ: 81.12.11.381; 81.12.11.382). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები წარმოადგენს ვახტანგ ღლონტის და მაყვალა გონაშვილის საკუთრებას და ამასთან, არ ემთხვევა სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ shp-ფაილში წარმოდგენილი საპროექტო მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისთვის განკუთვნილ ტერიტორიას. შესაბამისად, მითითებული საკითხი საჭიროებს კორექტირებას.

გ) სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ მიწის სამუშაოებისა და გრუნტის გზებზე გადაადგილებისას მტვრის გავრცელების თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნება ტექნიკური დანიშნულებით წყლის გამოყენება. დაზუსტებას საჭიროებს ტექნიკური დანიშნულებით საჭირო წყლით მომარაგების წყაროს შესახებ ინფორმაცია. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ წყალაღება ზედაპირული წყლის ობიექტიდან მოხდება, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იქნას წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები და ამოსაღები წყლის რაოდენობა.

დ) სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროცესში ხე-მცენარეების ჭრის/გარემოდან ამოღების, ასევე ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების სახეობრივი და რაოდენობრივი მონაცემების შესახებ, საქართველოს „წითელ ნუსხში“ შეტანილი სახეობების მითითებით.

ე) სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „უშუალოდ მზის პანელების განლაგების საპროექტო ტერიტორია წარმოდგენილია მშრალი ველების ჰაბიტატით, რომელიც საძოვარს წარმოადგენს, მის სიახლოვეს არის სახნავ-სათესი მიწები“. ვინაიდან სკრინინგის განცხადება სააგენტოში წარმოდგენილია

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც გულისხმობს 35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას, ხოლო წარმოდგენილ დოკუმენტში საპროექტო ტერიტორიად განხილულია საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი, ზემოაღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას/განმარტებას.

3) სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის ტრასის ზონაში გადის გაზსადენის მილი (ს/კ: 81.00.684), რომლის მფლობელი დადგენილი არ არის. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული გაზსადენის მესაკუთრის/ოპერატორის და საქმიანობის მესაკუთრესთან/ოპერატორთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე საკითხების დაზუსტებამდე, კოდექსის მე-7 მუხლის 5^1 ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

დანართის სახით გიგზავნით შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს და სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო“-ს მიერ საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისთვის დადგენილ ტექნიკურ პირობებს.

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/12555-21-2-202608251129